

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ თუ პატიოსანი კაცია, რა სახსრებით შეიძინა ველოსიპედი?

№ 19 (1269) თბილისი, ოქტომბერი 1967

ნიანგი

გამოცემის 44-ე წელი ფასი 20 კაპ.

უნივერსალი

„მატარებელი № 264 ორი წუთის შემდეგ გავა პირველი ლიანდაგიდან!“ — ჩამესმის დიქტორი ქალის ძილისმომგვრელი, კეკლუცი ხმა.

ნაბიჯს ვუჩქარებ. ორივე ხელი საახალწლო ნაძვისხესავით მაქვს დახუნძლული. უკან ბოშა ქალივით აჭრელებული და მძივებით გაკოჭილი ცოლი მომდევს. ხელში მხოლოდ სათამაშო კარტი უჭირავს. შიშით ველი, როდის დამიძახებს: — ხაზეინ, მოიცა, გიმკითხაო!

გაჭედილი ბაქანი ფერდებში იდაყვების რტყმით მხვდება. მე ვერც ვგრძნობ ამას, თითქოს ასეა საჭირო. და უცებ ხელის ფაქიზი შეხება კი მაკრთობს, გვერდზე მახედებს.

ჩემს წინ ათი წლის უნახავი, ფრესკასავით გაცრეცილი თანაკურსელი დგას. სახეზე ოლიმპიური სიმშვიდე აღბეჭდვია. მორცხვად მიღიმის.

— ვაჰ! — აღმომხდა გულახდილად. — შალვას გაუმარჯოს, დაკარგულ ძმას!

ეს ემოცია საკმარისი შეიქნა, რომ კისერზე ჩამომკონწიალებოდა. თითქოსდა, მაკლდა სიმძიმე.

— რას შვრები, როგორა ხარ, სად მუშაობ, სად მიდიხარ? — მაყრის საფანტივით.

ეს მინდა ახლა მე?! მე შენ გეტყვი, რამეზე წამოგიკრავს ხელს, ლანდი გასდის ყურებში.

— შენ თვითონ როგორა ხარ? — ვაძლევ კონტრკითხვას და თან ვაგონისკენ მივიწევ. მირჩევნია, თვითონ ილაქლაქოს.

— რაიონში ვარ. — მომდევს ფეხდაფეხ. — ხომ გაგიგონია: რაიონში გააწესეს, ცალი წვერი გაპარსესა. პედაგოგიურ ფრონტზე ვმოღვაწეობ. ამ წუთში ჩამოვედი. კურსებზე გამომიძახეს. რას იზამ, ვიმაღლებთ კვალიფიკაციას!

— რას ასწავლი? — ანგარიშმიუცემლად ვეკითხები. ისე, სულ არ მაინტერესებს, რას ასწავლის. მე ჩემი გაჭირვება მაქვს. თუმცა, რას უნდა ასწავლიდეს ფილოლოგი კაცი.

— ფიზიკას, ქიმიას, გეოგრაფიას! — მიპასუხებს ამაყად. — მეორე მეოთხედიდან ისტორიასაც დამიმატებენ!

მე გაკვირვების თავიც არა მაქვს. მედუდუკესავით ლოყებდაბერილი ძლივს ვიცილებ ბარგს სხეულის სხვადასხვა ნაწილიდან. ცოლი ჩემს გამცდენს ისარივით უყრის მზერას და მსუბუქად არბის მატარებელში.

— გეომეტრიაზე როგორა ხარ? — თავისით იბადება ირონია. თან ოფლში გახვითქული ბარგს ზევით ვისვრი.

— გეომეტრიაც მქონდა, მაგრამ სხვას მისცეს. — ხმაში წყენა დაეტყო — დამსახურებული მასწავლებელია. არა უშავს. მალე პენსიაზე გავა და ისევ მე დამიბრუნებენ.

მატარებელი დაიძრა. მე ბოლო საკვოიაჟს ძლივს ვაგდებ ზევით და მილასლასებული კიბეზე ვჯდები.

— კი მაგრამ, ქართულმა რა დაგიშავა, შენმა სპეციალობამ? — ვუსვამ ზევიდან უკანასკნელ კითხვას.

— ქართულს დირექტორი ასწავლის. — მომძახის იგი და მრავალმნიშვნელოვნად მიღიმის.

ჩვენ შეყვარებულებივით ვუქნევთ ერთმანეთს ხელს.

ჯარი ჯარალი

სიჯანი ბალადა

არ მიყვარდა მარტოობა,
არც მომწონდა, არა და...
რა ვიცოდი, თუ შინ ცოლი
დამტოვებდა ძალადა.

მეფერა და მეალერსა,
რომ მიყელა წამითა,
ტურისტული მატარებლით
უცებ სადღაც წავიდა.

ოჯახში რომ მარტო დავრჩი,
თავი მოვიმოახლე,
ქალის შრომაც დავაფასე,
საქმეს ხელი რომ ვახლე.

საკუთარი სმა-ჭამაც კი
ხათაბალა გამიხდა,
ამ დილაზე, ჩაის სმის დროს,
ბოლო ჭიქა გამიტყდა.

ერთხელ გაზმა წინსაფარი
გამომიწვა თარგივით
და კინაღამ, სახლთან ერთად,
გამოვიწვი თაგვივით.

უთო რასაც დავაკარე,
შევტრუსე და ავლანძე,
მერე, ცოლზე გულმოსულმა,
მეზობლები დავლანძღე.

ოთახს რომ ვგვი, ქეჩზე მდგარი,
დავლურს ვუვლი „ტვისტივით“,
იატაკზე დავსრიალებ
კარგი ჰოკეისტივით.

ამ სარეცხის მანქანამ ხომ
გამაგიჟა კაცია,
რაც ჩავყარე გასარეცხად,
ნაფლეთებად აქცია.

ჭუჭყიანი ჯამ-ჭურჭელით
ამოვავსე კარადა...
აი, ასე დაიწერა
ეს პატარა ბალადა.

გრიგოლ ჩიქვილაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლბილი ადგილი

შემოვლისას ექიმი ერთი წუთით შეჩერდა ფოტინეს საწოლთან. ლათინურად უნდოდა, მაგრამ „ღმერთი“ ვეღარ გაიხსენა და ისევ ქართულად თქვა: რას იზამ, მი ტოქე ნე ბოგიო.

— ჩემი წვალება კი მორჩა, მარა ამ ხალხს რა ეშველება, ნამდვილად თავმდაბლობა დაღუპავთო, — უკანასკნელად ეს გაიფიქრა ფოტინემ და თვალები დახუჭა.

* * *

ის იყო კარზე მიყუდებული კუბოს თავი ეზოში ჩაიტანეს და ოთხი ჯანიანი ნათესავი თვითონ ფოტინეს ასაწევად მოემზადა, რომ ოთახში ჩქარი ნაბიჯით, ოფლის წმენდით ორი უცნობი შემოვიდა.

— კუბო უნდა წავიღოთ! — მოკლედ მოჭრა ერთმა.

—როგორ გეკადრებათ, ჩვენ თვითონ,— უცხო ხალხის შეწუხებას მოერიდნენ ჭირისუფლები.

— ო, თქვენ ვერ გაგვიგეთ, კუბო სხვისია და პატრონს უნდა წავუღოთ, დაკრძალვის სამსახურის ტრესტიდან გახლავართ! — ელეგანტურად წარუდგინა თავი ჭირისუფლებს მეორემ.

— აშიბლის, თქვენ კუბოში 16 მანეთი და 50 კაპიკი გადაიხადეთ, ასე არ არის?

— ასე გვთხოვეს!—დაუმოწმეს ჭირისუფლებმა.

— აი, ხომ ხედავთ? ნიხრით ეს არის ქაღალდგამოკრული კუბოს ფასი. თქვენს კუბოს კი გარშემო შავი მატერიის პლისე აქვს შემოკრული.

— კი, მაგრამ ჩვენ არ მოგვითხოვია პლისე, — ერთბაშად დასაწყლებული ხმით სცადა შეპასუხება ერთ-ერთმა ჭირისუფალმა.

— ადვილი შესაძლებელია არ მოგითხოვიათ, — სულგრძელად დაეთანხმა აგენტი, მაგრამ პლისე ხომ სახეზეა?!

ამ ლოგიკას სად წაუვიდოდნენ: პლისე ნამდვილად სახეზე იყო...

— სწორედ ეს პლისე ჯდება 23 მანეთი და 20 კაპიკი კუბოს ღირებულების ზევით, — საკაღალდე გახსნა და რაღაც ქაღალდზე მიუთითა დაკრძალვის სამსახურის წარმომადგენელმა, — ა, ბატონო, ნახეთ!

ცრემლგამშრალი ჭირისუფლები ერთმანეთს მიჩერებოდნენ და აღარ იცოდნენ რა ექნათ.

— კუბო უნდა წავიღოთ! — დაარღვია სამარისებური სიჩუმე მომხდურმა, — ამოასვენეთ მიცვალებული. თქვენს 16 მანეთიან და 50 კაპიკიან კუბოს სადაზმოს მოგიტანთ, ამ კუბოს მისი პატრონი ელოდება. კ საკალენიუ, შევცდით, ამოასვენეთ მიცვალებული!..

ოთხმა ჯანიანმა ნათესავმა თითქმის ერთდროულად ეადადგა ფეხი მოსულებისკენ.

— კუბოს დატოვება შეიძლება, — გასასვლელისკენ გაიწია დაკრძალვის სამსახურის წარმომადგენელი, — შეიძლება, თუ აგვინაზღაურებთ განსხვავებას, ანუ მატერიის საფასურს, სულ რაღაც 23 მანეთი და 20 კაპიკი, უსიამოვნებად არ ღირს, ესეც ხათრით, თორემ ამ კუბოს, ძმაო, მისი პატრონი ელოდება, რას ვერჩით, ისიც კაცია, ცოდოა!

გამოსავლის პოვნით გახარებულმა ჭირისუფლებმა შვებით ამოისუნთქეს.

საწყალ ფოტინეს, რომელსაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არ უხმარია არც პლისე, არც გოფრე და ასე განისჯეთ, მერეაკიც კი, დაკრძალვის სამსახურის „პატარა გაუგებრობის“ წყალობით, ერთბაშად აუნაზღაურდა დანაკლისი.

ნარგიზა მგელაძე

ცდუნება

— დიდი წუწურაქი ვინმეა შენი ძმაკაცი პართენა, — ხშირად ეუბნებოდნენ გოგიას ნაცნობ-მეგობრები. — კაპიკს ვერ დაახარჯვინებ, მაგის დაპატიჟებული კაცი არავის უნახავს, სხვის სუფრაზე კი პირველი წამოსკუპდება და კაი ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებსაც ამბობს.

გოგიას სწყინდა, პართენას ქვაწვიობაზე რომ ჩამოაგდებდნენ სიტყვას, მაგრამ რა ექნა, თვითონაც კარგად იცოდა, რაც ხვითო იყო მისი ბავშვობის მეგობარი.

ერთ მშვენიერ დილას მშვენიერი აზრი დაებადა გოგიას. მან პართენა მოიხმო და უთხრა: კაცო, ქვეყანას რომ ალაპარაკებ, პართენა უპურმარილო და დამწვარიაო, მოდი, ერთი დაამახსოვრე მაგ ხალხს შენი სუფრაც; აჰა, შენ ფული, მე გაძლევ ჩემსას, ბატონო, და ამ საღამოს დაგიპატიჟებ რამდენიმე კაცს რესტორანში; ნახარჯი შენ გადაიხადე ყველას თვალწინ და მერე აღარ ექნებათ სალაპარაკო...

მიუჯდა გოგია ტელეფონს და ამხანაგებს შეატყობინა თავი მოვიყაროთ ამ საღამოს, პართენა გვპატიჟებს რესტორანშიო. პართენამ პურ-მარილი იკისრაო, და ვინ დააკლდებოდა ამ უჩვეულო ამბავს? უკლებლივ მოიყარეს თავი რესტორნის კარებთან, თან გაკვირვებით ამბობდნენ: ან შექანდა მაგ უბედური და, ან სიკვდილის მოახლოება თუ უაზრა ტანმაო.

გამოჩნდა ბოლოს პართენაც. შეხედა გოგიამ და გაოცდა: კაცის ფერი არ ედო სახეზე საცოდავს, ქვედა ყბა მოღრეცოდა, თვალები ამღვრეოდა. მოვიდა, გოგიას მკლავში ხელი გამოსდო და გვერდზე გაიხმო: რა გჭირს, ბიჭო, ავად ხომ არ ხარ?! — ჰკითხა გოგიამ.

— რას მიშვები, კაცო, თუ იცი შენ?! — კითხვითვე გაეპასუხა პართენა.

— რა იყო, აღარ იტყვი?

— რა იყო და მთელი დღე ჭკუაზე აღარა ვარ კაცი. ფულის გადამხდელი ვარ მე, ბიჭო? ჯიბეში ჩავიყოფ ხელს მე? არ მინდა, ძმაო, არაფერი არ მინდა! ა, შენი ფული. წაიღე უკან და, ვინც გინდათ იმან გადაიხადოთ, მე მაგის გამკეთებელი არა ვარ, ჯიბისკენ ხელს ნუ წამაღებინებ და, თუ გინდა, მომკალი!

პართენამ ჯიბეში ჩაუდო გაოცებულ გოგიას დილით მოცემული ფული და შვებით ამოისუნთქა.

თამაზ სალუქვაძე

მინიატურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვერგაუპარსავი, წითელცხვირა ახმახი ალაპლაპებული სამართებლით თავზე ადგას პირგასაპნულ კლიენტს და ეუბნება:

— ჩვენი ძმა! შარშან ბინებს შენ ანაწილებდი მგონი, არა?!

— დიახ, მაგრამ რატომ მეკითხებით?!

— ისე რა, მე ისევ ძველ ბინაში დავრჩი და...

ოპტიკის მაღაზიაში

— ახლომხედველი ვარ, სათვალე მინდოდა!..

— არა გვაქვს!

— იქნებ საწყობში შემოგრჩათ, პატივისცემა ჩემზე იყოს!..

— შე კაი კაცო, ახლომხედველი კი არა, შორსმჭვრეტელი ყოფილხარ, ადრე ვერ თქვი? სათვალის მეტი რა გვაქვს!..

კახი პატიაშვილი

ნათლობა

(იგავი)

ნათლიებმა ძერას ასულს
ჩამოჰკიდეს ყელზე ჯვარი,
განბანეს და მირონი სცხეს,
ფრინველთ წესი როგორც არი.

უციმციმებს მშობლებს თვალი,
(მოელიან, ალბათ, დიდ ძღვენს)
სუფრას ღვინო არ აკლია,
ჯიხვის ხორცი და ჩიტის რძე.

შემობრძანდნენ ერთიანად,
ვისაც ჰქონდა რამ ღირსება,
ხელგაშლილი მასპინძელი
ყველას მიეხალისება.

ზოგს უჭირავს ყვავილები,
ზოგი მოდის ვაჟკაცურად,
ათი ათას მანეთს უძღვნის
ოჯახს მწყერი —
სულ ნაღდ ფულად.

მოაგორეს მაცივარი
შევარდენმა და მიმინომ,
მტრედმა ნოხი მოიტანა,
წეროშ — თეთრი პიანინო.

ისახელა თავი ზაზვმა,
ოფოფმა და ტყის ქათამმა,
გაიკრიფა ენად დედა,
სულ ღიმილად იქცა მამა.

ვით ილხინეს, ინადიმეს
სრულყოფილად აღწერს ვინა?
იმდენი თქვეს, იმდენი სვეს —
ხის ტოტებზე მიეძინათ...

* * *

ეს იგავი, სხვათაშორის,
სალაღობოდ დაიწერა,
თორემ თავის ტურფა ასულს
განა ტყეში ნათლავს ძერა?

ვლადიმერ მისაბიშვილი



დ ღ ე ს ფეხბურთია, ფეხბურთი! — ამ ფიქრით იყო შეპყრობილი მთელი თბილისი.

და, აი, სამუშაო დღეც დამთავრდა. სიგარეტი გავაბოლე და არხეინად გავემართე გასასვლელისკენ. ჩემი ამხანაგები ისეთი თავდავიწყებითა და ყიჟინით გარბოდნენ, თითქოს სკოლის მოწაფეები ყოფილიყვნენ.

— აბა, ჩქარა, ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდება! — ყვიროდა შოთა და გამწარებული მექაჩებოდა.

— არა, მე არ მოვდივარ! ახლა კაციშვილი არ იქნება საპარიკმახეროში, არც აბანოში... ასეთ ბედნიერ შემთხვევას ვერ გავუშვებ ხელიდან!

ამის პასუხად შოთამ ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს მეთქვას, ფული მასესხე-მეთქი!

შევედი საპარიკმახეროში. კედელზე დაკიდებულ დიდ სარკეებში მოწყენილად იმზირებოდნენ ცარიელი სკამები. პარიკმახერები მრგვალ მაგიდას უსხდნენ და გაცხარებით კამათობდნენ.

— აი, ნახეთ, დღეს ჩვენები სამ ბურთს გაიტანენ!

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! რატომ, ისინი ვერ გაიტანენ ვითომ?.. ბალახის საძოვრად კი არ არიან ჩამოსულები.

— შენ რა გესმის ფეხბურთის!..

— გააჩუმდით !— წვრილი ხმით იყვირა ერთმა ჩია პარიკმახერმა, რომელიც პირდაპირ რადიორეპროდუქტორში ძვრებოდა, — ფეხბურთი იწყება!

ჩავახველე. პარიკმახერებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს: ამას რაღა უნდაო.

— რა გინდა? — მკითხა ერთ-ერთმა.

— რა მინდა? — რა? რა და, — სულმთლად დავიბენი, — მე... მე... თმა მინდა შევიკრიჭო!..

— მერე ახლა, შე კაცო? — პარიკმახერებმა ისეთი გაოცებული თვალებით გადახედეს ერთმანეთს, გეგონებოდა, საპარიკმახეროში თმის დაცვის კვირეული ტარდებოდა.

— ალბათ, აქაური არ არის! — თქვა იმავე პარიკმახერმა.

— რიგს გითმობ, ძმაო, შენ გაპარსე! — „გულკეთილობა“ გამოიჩინა ჩია ტანის პარიკმახერმა. მაღალმა პარიკმახერმა საშინელი გულგრილობით მიიღო ეს დათმობა...

საკრეჭი მანქანის ღუღუნთან ერთად, დაიწყო ფეხბურთის მარშიც. როცა გუნდების შემადგენლობა გამოაცხადეს, მე და ჩემს პარიკმახერს ისეთი გულისწყრომით შეგვხედეს დანარჩენებმა, რომ ჩემმა დალაქმა საჩქაროდ გამორთო მანქანა და თმაც ამაგლიჯა კეფაზე.

— ვაი! — ვიყვირე მე.

— არაფერია! — დამამშვიდა პარიკმახერმა.

კიდევ კარგი, რომ არ მპარსავენ, — გავიფიქრე მე, სანამ სტადიონზე მოთამაშეები განლაგდებოდნენ ე. წ. ცნობილი თუ უცნობი სისტემების — 1-4-2-4; 1-4-3-3; 1-7-2-1; 1-10-0 — მიხედვით, ჩემმა პარიკმახერმა გაკრეჭის ისეთი უახლესი სისტემა აირჩია, რომელიც შეიძლებოდა ისტორიაში „აბა, მიდი, მიდის“ სახელწოდებით შესულიყო.

ერთი სიტყვით, სულ მალე ჩემი თავის ზედაპირი თბილისის დათხრილ ქუჩებს დაემსგავსა.

უცებ მაკრატელი ჰაერში გაშეშდა...

— შტანგა! — ერთხმად იღრიალეს პარიკმახერებმა და... ამჯერად ჩემი ყური მაკრატლის პირში მოექცა.

საკმარისია, გმადლობთ! — ძლივს ამოვილუღლუღე და წამოდგომა დავაპირე.

— ახლავე! — თქვა პარიკმახერმა და თმები კისერში ჩამაფერთხა, — თავისუფალი ხარ !— თქვა მან და ისიც რეპროდუქტორს მიუჯდა.

საჩქაროდ აბანოში გავიქეცი, შევვარდი შხაპქვეშ... მეგარდეროებსთან მივედი და ტანსაცმელი ვთხოვე.

— ჩუ !ჩუ! — ჩამაჩუმეს რადიორეპროდუქტორებთან შექუჩებულმა მეაბანოეებმა.

კარგა ხანს ველოდე. მერე შემცივდა და ისევ შხაპს მივაშურე, გადავისხი წყალი და იქვე კუთხეში ჩავჯექი. მალე ძილიც მომეკიდა.

— ეჰ, წადი, ჩქარა, აიღე ტანსაცმელი! — მექაჩებოდა ვიღაცა, — თორემ საცაა ტრანსლაცია დაიწყება ქუთაისიდან...

ჩავიცვი და პირდაპირ სახლში გავვარდი.

ჩემი ბინის კარები ღია დამხვდა. შევედი და რას ვხედავ: ოთახში ტევა არ არის.

— რა მოხდა? — ვიყვირე თავზარდაცემულმა.

— ჩუმად! — მიყვირა მეზობელმა.

— ბურთი ოდნავ აცდა კარს! — გამოაცხადა კომენტატორმა.

სამზარეულოში გავედი და, რაკი სკამი ვერსად ვნახე, იატაკზე დავემხე და ავქვითინდი...

მორიგი მატჩის დღეს ფეხბურთის ბილეთების რიგში ვიდექი.

ანდრო კოკოლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის სამხატვრო სალონი

ნახ. ლ. სიხარულიძისა



ნახ. ჯ. ლოლუასი

„ოტელოს" მე-100 წარმოდგენაზე

— ძილის წინ ილოცე, დეზდემონა?
— ტვინი წაიღე რა! უკვე მეასეჯერ მე-კითხები!..

ნახ. მ. აბაშიძისა



— თუ ეს სახალხო თეატრია, ხალხი სადღაა?

ნახ. მ. აბაშიძისა

— შენი ნერვიულობა არ შეიძლება!
— მაგას მე რომ მეუბნები, ჩვენს რევიზორს უთხარი!

ნახ. ი. დოიაშვილისა



— სწორდით!

ნახ. ჯ. ლოლუასი

— „ქურდი რომ ვიყო!"
— მაინც რას იზამდი?!.
— არაფერს, უფროსო! ან გამოვსწორდებოდი, ან თავს მოვიკლავდი.

— ხომ გითხარი, იატაკს ერთ ადგილზე დიდხანს ნუ ხეხავ-მეთქი?!

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— თამარ მეფის საფლავი თუ იცი სად არის?
— ვიცოდი და დამავიწყდა, პატივცემულო!
— ყველაფერს გაპატიებ და მაგას ვერა, ერთადერთ კაცს გცოდნია და როგორ დაიკარგა?!

ბრის ეკონომია

კოლკოვნიკი, მილიციის უფროსი — თავის მოადგილეს: ამხანაგო ნიკოლოზ: ყური მიგდეთ და შეასრულეთ ჩემი განკარგულება: ხვალ, ზუსტად 9 საათზე, მზის დაბნელებაა, რაც, ცნობილია, ყოველდღე არ ხდება. მთელი პირადი შემადგენლობა გამოვიდეს ეზოში, ყველამ იჭონიოს შებოლილი მინის ნატეხები, რათა შესაძლებლობა ეჭნეთ თვალყური ადევნონ ამ იშვიათ მოვლენას. მე კი მათ ახსნა-განმარტებას ჩავუტარებ. თუ წვიმა იქნა, სულ ერთია, არაფრის დანახვა არ შეიძლება. ამიტომ ხალხი კლუბში შეკრიბეთ!

მოადგილე — მაიორს: პოლკოვნიკის ბრძანებით, ხვალ, 9 საათზე, მოხდება მზის დაბნელება. წვიმის შემთხვევაში მას თქვენ ეზოში ვერ დაინახავთ, ამიტომ დაბნელება კლუბში ჩატარდება, რაც ყოველდღე არ ხდება. იჭონიეთ შავი მინები!

მაიორი — კაპიტანს: პოლკოვნიკის ბრძანებით, ხვალ, დილის ცხრა საათზე, კლუბში მოეწყობა მზის საზეიმო დაბნელება. თუ საჭირო იქნა წვიმა, პოლკოვნიკი ამის შესახებ გამოსცემს განსაკუთრებულ ბრძანებას, რაც ყოველდღე არ ხდება, ამიტომ კლუბში ჩაამტვრიეთ მინები!

კაპიტანი — ლეიტენანტს: ხვალ, ცხრა საათზე, პოლკოვნიკი კლუბში დაბნელებს მზეს, რაც ყოველდღე ხდება მოწმენდილ ამინდში. წვიმის შემთხვევაში კი — ეზოში. არ დაგავიწყდეთ მინების ჩასმა.

ლეიტენანტი — სერჟანტს: ხვალ, ცხრა საათზე, მზის მიზეზით მოხდება პოლკოვნიკის დაბნელება. თუ კლუბში წამოვა წვიმა, რაც ყოველდღე არ ხდება, ეზოში შეკრიბეთ ხალხი და ჩალეწეთ მინები!

სერჟანტი მილიციელებს შორის: კაცო, გაიგე? ხვალ თუ წვიმა იქნა, ჩვენს კლუბში მზე დაბნელებს პოლკოვნიკს. გაუგებარია, რატომ არ ხდება ეს ყოველდღე?!

გერმანულიდან გადმოაჭართულა
ბ. ფათიმაშვილმა

ამ ზაფხულს შავი ზღვის სანაპიროზე ვიხეტიალეს. გადაულეველი წვიმებისა და ცუდი ამინდების გამო ოთახიდან ცხვირი ვერ გამოვყავი. ჩემს მეზობელ ოთახში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უსაყვარელესი ქალაქის მკვიდრი, თავისი ქალაქის დიდი პატრიოტი ცხოვრობდა. თავგამოდებით მიმტკიცებდა, ჩემი ქალაქი შენ თბილისს ჯიბეში ჩაისვამსო. ქალაქებს შორის მეგობრული შეჯიბრებები დღეს მოდაშია, ბოდა, მეც გამოვუცხადე ჩემს „მოწინააღმდეგეს“ გამომშვიდობებისას: მოდი, წერილებით ვეპაექროთ ერთმანეთს, ზუსტად, პირუთვნელად აღვწეროთ ჩვენი ქალაქების დადებითი მხარეები; დამარცხებული გამარჯვებულის ქალაქში გადავიდეს საცხოვრებლად-მეთქი. შეეთანხმდით. პირველი წერილი უკვე მივიღე. მინდა, „ნიანგი“ იყოს ჩვენი მსაჯული, ამიტომ, ჩემს პასუხს თქვენი ჟურნალის ხაშუალებით ვუგზავნი ჩემს მეტოქე მეგობარს.

წერილი პირველი

რად მიყვარს ჩემი სანაპირო?

შენი წერილი მივიღე. მწერ: მე და ჩემი მეგობარი სანაპიროზე მივსეირნობდით და შენ გამახსენდიო. ჰმ! დიდი ამბავი — სანაპიროზე! ალბათ, მოგეხსენება, რომ მსოფლიოში რაც საუკეთესო ქალაქია და რომელსაც მდინარე ჩაუდის, ყველას აქვს სანაპირო. იგი არის ამ ქალაქის მშვენება, სიამაყე, იქაურ მაცხოვრებელთა საყვარელი ადგილი. ასეა ჩვენთანაც. ორთაჭალიდან დიღომამდე გასდევს მტკვარს მარცხნივ და მარჯვნივ შესანიშნავი სანაპირო. ამ წერილს რომ მიიღებ, ალბათ, მისი სიგრძე კიდევ რამდენიმე კილომეტრით გაიზრდება, რადგან სანაპიროს მშენებლობა აგერ უკვე ოცდაათიოდე წელია გრძელდება და, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს მისმა ჯებირებმა შენს ქალაქშიც ამოყოს თავი. ახლა იმას მოგახსენებთ, თუ რითია მომხიბლავი ჩვენი სანაპირო. თბილისი სამხრეთული ქალაქია და მზის მცხუნვარება სხვებზე მეტად გვაწუხებს. ამიტომ სანაპირო ჩვენი ქალაქისთვის დიდი სასარგებლო და საჭირო ატრიბუტია. განსაკუთრებით ზაფხულში. მთელი ახალგაზრდობა საღამოობით სანაპიროზე იკრიბება, მთავარი პროსპექტები (რუსთაველისა და პლეხანოვის) უდაბნოს ემსგავსება, გულს ახარებს მოსეირნე წყვილები და ჭაბუკების ჯანსაღი სიცილ-კისკისი. სიცილ-კისკისის საბაბი კი უამრავია: ჩვენი სანაპირო დღის სინათლეებით არის გაბრდღვიალებული, ყოველ ნაბიჯზეა გამაგრილებელი წყლების კიოსკები, კაფეები, სხვადასხვა სახის გასართობები; აქვეა რამდენიმე საზაფხულო კინოთეატრი, საესტრადო დარბაზები, კლუბები. მტკვარზე ზღაპრული გედებივით დასრიალებენ ხალხით სავსე კატერები, მუსიკის მხიარული ჰანგები ავსებს მთელ სანაპიროს. დაჩრდილულ ხეივანში შეგიძლია თავისუფლად ისეირნო შენს გულისსწორთან. ერთი წუთითაც არ შეგაწუხებს იმის შიში, რომ ვინმე დაგირღვევს მყუდროებას. ერთი სიტყვით, სანაპირო თბილისის მშვენებაა, ახალგაზრდობის საყვარელი თავშესაყარი ადგილია. რაც ყველაზე სასიამოვნოა, ყველაფერი ეს თვით ახალგაზრდობის ხელითაა შექმნილი. ასე რომ ძალიან გთხოვ, თავი დაანებე ტრაბახს და შენი ქალაქის სანაპიროს ქებას.

თბილისის დანარჩენ ღირსშესანიშნაობებზე სხვა დროს მოგწერ. ახლა კი მეჩქარება, სანაპიროზე მივეშურები სასეირნოდ.

შენი მეგობარი-მეტოქე კოლია ეორგიკაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

რწყილი და ჭიანჭველა

(ახალი ვარიანტი)

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ სახინკლეს. რწყილმა უთხრა ჭიანჭველას: მოდი, ერთი ჩვენი დამეგობრებისა გადავკრათო და სახინკლეში ჩავიდნენ. ცხელ-ცხელ ხინკალს ლუდში არეული არაყი დააყოლეს, თან მტკიცე და განუყრელი მეგობრობის სადღეგრძელოც თქვეს. მეგობრობის თბილი გრძნობით გულაჩუყებულებმა ცრემლებიც კი ღვარეს და კარგა ხანს ტუჩებში კოცნეს ერთმანეთს, მერე სიმღერაც წამოიწყეს: „ჩახედე მეგობარს თვალებში!..“ სიმღერით რომ გული იჯერეს, პროსპექტზე ამოვიდნენ. პროსპექტზე ჭიანჭველამ ურნას ფეხი ჰკრა და ააყირავა, რწყილმა კი პროსპექტზე მიმავალ ჩათქვირებულ მანდილოსანს ისე მწარედ უკბინა მარცხენა ძუძუზე, რომ საბრალო ქალმა სიმწრისგან კივილი მორთო. ქალის კივილი რომ გაიგონა სახალხო რაზმელმა, იფიქრა, ხულიგნები მოდიანო და თავგზააბნეულმა მოკურცხლა.

რწყილმა და ჭიანჭველამ არხეინად განაგრძეს გზა. პროსპექტი რომ გაიარეს, ერთ მდინარეს მიადგნენ. რწყილი ახტა, დახტა და მდინარის მეორე ნაპირზე დახტა. ჭიანჭველა ახტა, დახტა და შიგ შუა მდინარეში ჩავარდა. მდინარეში ჩავარდნილი ჭიანჭველა რომ დაინახა, რწყილი სიცილით მიწაზე დაეცა... იცინა, იცინა და სიცილს რომ მორჩა, ჭიანჭველას გადასძახა: თუ მეტის დალევა არ შეგეძლო, ვინ გაძალებდა, შე უჯიშოო.

წყლით პირავსილმა ჭიანჭველამ რომ არაფერი უპასუხა, რწყილმა ერთხელ კიდევ გულიანად გადაიხარხარა და გაუდგა გზას. მიდიოდა არხეინად და მიიმღეროდა: „ჩ ა ხ ე დ ე მ ე გ ო ბ ა რ ს თ ვ ა ლ ე ბ შ ი ი ი!“

ბეჟან სვანიძე

ნახ. ლ. ფავლენიშვილისა

უსიტყვოდ.

ნახ. ნ. მალაზონიისა

უსიტყვოდ.

რ ე ვ ა ნ შ ი

ერთხელ ვიყავი ცოლ-შვილით
მოყვრებთან, სოფელ სევამი...
მერე კი ჩემმა სიდედრმა
თვითონ აიღო რევანში.
ყოველ წელიწადს ჩამოდის
და ჩემთან რჩება ნამატით,
მაბარებს თავის მონაგარს
ნიჭით, ცოდნით და ტალანტით.
ავთანდილს ვექილობა სურს,
ექიმობა კი — ფაციას,
ჩემს გაწვალებულ კისერზე
დაწერენ დისერტაციას.
ნუგზარი კრივში ვარჯიშობს,
ჩემთან ატარებს რაუნდებს,
ჯერ ვერ მიბედავს ნოკაუტს,
გულში რა ვიცი, რა უდევს?
ვახტანგი სარეჟისოროდ
კითხულობს ლექსებს, ანდაზებს
და სადიპლომო სპექტაკლად
ჩემს სახლში „რღვევას“
ამზადებს.
სტუმარი ყველა ღვთისაა,
ოჯახს ხალისით ავსებენ,
წელს ახალ ნაკადს მოველი,
ვნახოთ, სად მოგვათავსებენ.

სერგო აბაიშვილი

პოლიგრაფმენიუ

ორ — ორცხობილა

სშ — სუკი შვლის

ოთ — ოთლო-თოთლო — „თოხლო კვერცხი“ (ს ა ბ ა)

ხუ — ხაჭაპური — უმარილო ყველისგან დამზადებული

პრ — პრასა

შბ — შნიცელი და ბიფშტექსი

კვ — კვახი

თობფ — თ ა ვ ზ ე ო ფ ლ გ ა დ ა მ ს კ დ ა რ მ ა ბევრი ფიქრის შემდეგ, გავშიფრე **თბილისის პოლიგრაფსუვენირების ლაბორატორიის** მიერ გამოშვებული 1967 წლის ეს ტაბელ-კალენდარი.

გ. შ-ძე

	იანვარი	თებერვალი	მარტი
ორ	2 9 16 23 30	6 13 20 27	6 13 20 27
სშ	3 10 17 24 31	7 14 21 28	7 14 21 28
ოთ	4 11 18 25	1 8 15 22	1 8 15 22 29
ხუ	5 12 19 26	2 9 16 23	2 9 16 23 30
პრ	6 13 20 27	3 10 17 24	3 10 17 24 31
შბ	7 14 21 28	4 11 18 25	4 11 18 25
კვ	1 8 15 22 29	5 12 19 26	5 12 19 26

	აპრილი	მაისი	ივნისი
ორ	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26
სშ	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27
ოთ	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28
ხუ	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29
პრ	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30
შბ	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24
კვ	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
ორ	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25
სშ	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26
ოთ	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27
ხუ	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28
პრ	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29
შბ	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30
კვ	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24

	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ორ	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25
სშ	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26
ოთ	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27
ხუ	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
პრ	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
შბ	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30
კვ	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31

თბილისი. პოლიგრაფსუვენირების ლაბორატორია

მთავარი რედაქტორი **ნოდარ დუმბაძე.** სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. **26/IX** 1967 წ. ქაღ. **ზომა** 70 × 108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდ. 1. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3588 უე 02236 ტირაჟი 71.000.

67-699

1/1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ახალი კანონით საბერძნეთში ხუთი კაცის შეხვედრისთვისაც კი საჭიროა პოლიციის სპეციალური ნებართვა.

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯРЪ



— თქვენ არ წაგიკითხავთ გრძანება, რომ 5 კაცის ერთად თავმოყრა აკრძალულია? ახლავე გააძევეთ გარეთ ორი ბავშვი!

ნახ. ბ. ლომგიძისა

№ 6
შემოვიდა 11-X